

საქართველო საბჭოთაო



საქართველოს საბჭოთაო

გაზეთის № 366. კვირა, 31 ივლისი 1911 წ. დამატების № 64



განცხრომა. ნახტი კ. ქავთარაძისა.

ამონაკვეთი

ამოდ იწვევ სულს, ოცნებავ, უხილავ მხარეს,
ამოდ ელტვი შესაკრთობად მიმქრალ გულის სიმს;
შენ ვერ მოსტაცებ ნაღვლისა ტბას მანდილს მწუხარეს,
ღრუბლიან ცაზე ვერ მოჰქარგავ განთიადის ღიმს...

* *

ოჰ; ვით მიყვარდა ბავშობისა ტკბილი სიზმარი,
როს ნელის ქროლდით თანავსდევდი ამურთ მსუბუქ ფრთებს,
სოფლით ლტოლვილსა, ცად მიწვევდა შვეების ტაძარი,—
იქ წრფელის გრძობით მსხვავლს ვწირავდი ოცნების ღმერთებს.


* *

რა რიგ მიყვარდა მოჩუხჩუხე, შთის ნაკადული,
ჰანგს რომ უმღერდა ჩემს წალკოტში იმედის იას;
რა ოიგ მიყვარდა გინთიადის ტკბილი ღიმილი,
როს ვარსკვლავთ ხომლი სხივით რთავდა მის ჰარმონიას ..

* *

და განქრა ყველა... ბნელნა შთანთქა ჩემი ცისკარი;
ცხოვრების ფრთებმა დაჰიბნელა ცისა კამარა,
აწ სინამდვილემ მტვრად გარდაჰქნა ჩემი ტაძარი
და ჩემის გულის ნანგრევთ შორის დაასამარა!

ს. ფაშალიშვილი.



კ ე ლ

(შემდეგი *)

გრიშამ იგრძნო უსიამოვნო კითხვებით მომმართავს დედამ, ისიც აღგა, გადახტა აივნებიდან და მივიდა დაბორაკილ ცხენთან, ცხენი ბორკალს ნელა აჩხარუნებდა და უგულოდ სთხოვდა დანამულ მწვანე ბალახს.

ბიჭმა პირსაბანი წყალიც მოართვა ბატონს. ფარნაოზი აივანზე გადადგა და იქით გადიბანა პირი. „ჩექმები გამიწმინდეთ“ — დასაკმა ბიჭს და პირის მშრალეებით მიუბრუნდა კოლს. რებეკას ამდენის ხნის განმავლობაში ხმა ვერ ამოელო და ენა ჩავარდნილი მისჩერებოდა ქმარს.

— ვაჟო, ამვიღე ეს ენა და მითხარი, დარჩა ბოვში?

— არა, მთლად კი არ დარჩენილა მარა, რაც საუკეთესო და პირველია, იმაში ქე ჩაქრეს და.

— რაში, არ იტყვი?

— რუსულში.

— დემფესოს ახლა თვალეები. — იმწყურთა კენინამ და ნელა შემოიკრა ლოყაში ხელი, წინ კავი რომ არ დაშლოდა.

— აბა, რაღა არ დარჩენილა?

— ვიხლათორთე დელექტორთან. დამდვა პატივი. რომ თქვენ არა, კნიაზო, ამ უაქენიეს არევის გოუწევდიო.

— მერე გადვიყვანეს?

— არა პერედისამენკა მისცეს და უნდა მოვამზადებოთ.

კენინა შეფიქრიანდა.

— ვის იშონის მერე კაცი აქ იმისთანას.

— ჯერ-ჯერობით ჩვენი ნადიცი ასწავლის და შვა კვირკობისთვეში ისევღვთ წვიყვან და მივაბარეფ ვინცხას.

— რას უნოფ, ფარნაოზ. ნადიამ გრიშაზე მეტი იცის?

— ვეი პლეჩ... ნადი რო ბიჭი ყოფილიყო, ჩემ ბედს ძალი არ დაჰყეფდა. იცის და მერე ასე? ქართულათ ვერც კი ახერხეფს ლაპარაკს. სულ რუსული და რუსული... რა გინდა შენ, ლუბერნატორს გოუბედაფს ლაპარაკს.

— ბიჭი? — შეეკითხა კოლი, გულ-ნაკლულად.

— ბიჭი რა, ი ჩემი კოდვით სავსე, ამ ქართულში წყალივითაა. სულ პიატები აქ. ახლა ლაპარაკს არ იკითხავ, რა ლაპარაკი იცის?.. ლექსებსაც ქე წერს თურმე ქართულად. ნადიამ მითხრა. მარა რა გამევიდა რუსულათ წერდეს მა ჩემი კოდვით სავსე, რუსულათ, გაკეთება არ იქნებოდა?

— არ გოუწყერი მერე?

— რაფა გოუწყერები. იქნება სულ შეიძლოს სტავლა და ხო დევიდუზე მაშინ. ინსპექტორს ძან უყვარს. რაფა,

*) იხ. სურათებიანი დამატება № 63.

თუ შეინდობა, ნიჭი არა აქ გონია? მარა რათ გინდა, გარაკოლილია ამ ეშმაკებზე. ვეუნები, შევილო მე რას მიკეთებს ეს ქართულის კოდნა, რო შენ რამე მოგცეს თქვა. რა მიპასუხა არ მკითხავ?

— „შენ რა იცი, მამა-ჩემოვო“.

— შე დალოცვილო, დეიჯინე, მინც იმ დასაქცევში შეყვანა. რამდენმა შეიყვანეს იქ, მარა ლობტურები არ გამოსვლიათ. — უთხრა რებეკამ უკმაყოფილოდ და გაჯავრებით გადიგლო უკან ლეჩაქის ბოლო.

— ა, უყუროს ახლა ამას კაცმა. გადასახადის თავი არ მქონდა, აღამიანო, გადასახადის, დიდ ღემნაზიაში. რა ჯოჯობეთის სათავად-აზნაურაა, აბა, თვარ გამევიყენებო, — აუწია ხმას ფარნაოზმა.

— მამა, სპიჩა საღ არის, ლამზა აფანთო, — დაიძახა ნადომ ოთახიდან.

— აგერ მაქ, შევილო, წვილე, — უპასუხა ფარნაოზმა.

კოტა ხნის შემდეგ ვახშამი შემოიტანეს. მთელი ოჯახი შემოუსხდა სუფრას. ვახშამზე რებეკამაც მივიწყა წვლანდელი წყენა და გამხიარულებული ყურს უგდებდა შეილების მხიარულ ლაპარაკს.

6

დიდი ხნის მიყრუებული როდაბის კარმიდამო ისევ გაცოცხლდა და ახმაურდა. ისევ გაისმა კესოს წკრიალი ხმა. ძველ მეგობრის დანახვაზე თითქოს მერცხლებიც სხვანაირად აქიტიკდნენ ბუდეებში, მოუსვენარმა ბედურამაც გაჩხრა, დასკუბდა დერეფნის დირეზე და დაუწყო თვალთვლება ახალ მოსულ სტუმრებს. კესოს, თავისი ჭრელი ძროხა, ხანში შესულა დაუხვდა, საწყალს კალი რქაც-კი, მოსტეხიყო. სამაგიეროდ მისი შავთვალა საყვარელი უშობელი



ა. ი. ვასილიშვილი, რუსეთის გამოჩენილი მფრინავი, რემელიც პეტერბურგიდან მოსკოვს გადაფრინდა. პეტერბურგიდან 10 ივლისს გაფრინდა დილის 3 ს. და 36 წ. მოსკოვს იყო 11 ივლისს დილის 4 ს. და 25 წ. ჰაერში მხოლოდ 8 ს. დაჰყო.

გაზრდილა, დასრულებულა, ჩქარა ისიც დედა გახდება ლამაზი პატარა შვილისა. უშობელი გრძნობს თავის სასიქადულო მდგომარეობას და ამაყად მოჰყვება გვერდით მოხუც დედას ფისოც და გიშერაც რაღაც ფერ ნაცვალად ეჩვენა. ყველა გამოცვლილია, ყველაფერს სხვა სახე მიუღია. მაგრამ დიდება? დიდებას-კი, საგრძნობლად დასჩენია ეს განვლილი ოთხი წლის ცხოვრება; წელში მოხრილა, მარჯვენა თეძოს თავი როგორღაც მალდა ამოვარდნია. პირის სახე უფრო დაქმუქენია, ნაოქებით მორღვეული თვალეები ღრმად, შორიდან იყურებიან. ოთხი კბილი კიდევ დაჰკლებია. გული? გული-კი ისევ ის, მოსიყვარულე. ის მშობლიური ცეცხლით გაღვივებული გრძნობა, ის დაუშრეტელი აღერსის წყარო, რომელიც ისე ავიწყებდა კესოს ყოველ დანაკლისს. საწყალი როდაბი ცას დაეწია სიხარულით, იცინა, იტირა, კინალამ შეირყა.

— მადლოზელი ვარ ღვთის, ჩემი მფარველი ღვთის-მშობლის, აწი თუ მოგვედები აღარ ვჩივი, რაკი მელირსა შენი ნახვა, ჩემო გულას ნაჭერო, ჩემო თვალის სინათლეო. — ჩასჩურჩულებდა, ტიროდა, სიხარულის ცრემლებს

ღვრიდა. — აბრუნებდა, ატრიალებდა, აკვირდებოდა კესოს წერწერტა მაღალ ტანს, გრუზა თმაზე ნაზად უსვამდა ხელებს. ტკბილად შეხვდა პატარა სერგოსაც. ისიც ჩაჰკოცნა საკუთარ შვილივით. მოხუცი, თითქოს მეორედ დაიბადა ქვეყანაზეო, სიხარულით ჩატივით აჭიკჭიკდა.


7

მგზავრობაში მოღლილ-მოქანცულ კესოს ტკბილად ეძინა და ვერ გაიგო როგორ დაათენდა თავზე. როდები ჩუმად, ფეხ აკრფფით გამოიპარა გარედ. კარში დაიწყო ფუს-ფუსი. კარგად გათენდა. დაღის ნისლი ამომავალმა მზის სხივებმა მიშობნია და შორს გაჭფანტა. ცოტა ხანი კიდევ ვაფიდა, მოუსვენარი ცელქი სხივი ეშმაკურად შეძვრა პატა-

— ჯი, ჯი, ჯი, ჯი, ჯი... — დაიძახა ხმა დაბლად როდამა სასიმიინდის გვერდით და სიმიინდის მარცვალი გაღუზნიც წვილ ფეხობას.

— ფრრრ — დაიძახეს ქათმებმა. ყოველ კუთხიდან მოაშურეს, ჟვატ, ვატ, ვატ, — ებანი მისცეს საიხვეს კართან მიყუქულმა იხვებმა, ყარყატით გამოსწიეს. ორი ბატი მცვრიან ბაღახს გაეტყუილებინა და მოშორებით სწიწკნიდნენ, იმათაც ანებეს თავი. „სრრრ“... შესძახეს, ერთი შეჭკივლეს და გადმოფრინდნენ მძიმედ. ცოტა მანძილის შემდეგ, ისევ დაეშვნენ მიწაზე და ბაჯბაჯით გამოიქცნენ. როდამა შორს მიატანა თვალი ტყის პირისკენ გაბნეულ ქრელ ვარიებს. ეხლა ხმა მაღლა შესძახა.


— აა, რრრ, ჯი-ჯი-ჯი... — ამ დაძახილზე, კალიასავით



არმაზი, დასავლეთის შხრიო. შეკეთებული ეკლესია.




არმაზი, დასავლეთის შხრიო. ძველი ეკლესიის ნანგრევები.



მცხეთის დედათა მოწახსტარის საფეხიძრო.

სურათის მარჯვნივ კუთხეში მოსჩანს ქალი ინსტრუქტორი ქაბნი გროვენკო.



მცხეთის დედათა მოწახსტარი.

საფეიქრო; და ნიმუშები ადგილობრივ ნამუშევრისა და ხალიჩის საქსოვი ჩარჩო.

ქვევით მოსჩანს დაწყებილი ხალიჩა. ზევით — დამთავრებული ფარდაგი.

რა ვიწრო ფანჯარაში, ტახტზე მძინარე კესოს შეანათა თვალეზში, რაცრაცით გადაურბინა სახეზე, ლამაზი თმები დაუთვარიელა, არც სერგო დასტოვა სალამ მიუცემლად, იმასაც მიუთამაშა და მერე სახლის შავ კედელს გაეკრა მშვენიერ ოქროს ფერ შპალერად. კესო ერთი შეინძრა, შეიშმუშენა, ზაფხულის დამათრობელმა ძიღმა სძლია და ისევ დაიწყო წყნარი სუნთქვა ტკბილ ძიღში.

წამოხტა კესო ლოგინიდან. ერთი მოისვა თვალეზზე ხელი, დიდდას ლოგინს გადახედა. მსწრაფლად გადიცვა ქვედა კაბა, გაალო უკანა კარი და ფეხ-შიშველა, ზევით პერანგის ამბრა, ტიტველის მკლავებით, გამოიჭრა ეზოში. სოველმა ბაღახმა ცოტათ შეაკრთო ფეხშიშველობას გადაჩვეული. ერთი დაიხედა ფეხზე, მაგრამ შეუჩერებლად გასწია დიდდასკენ.

— ადექი, შვილო, შენ გენაცვალე?
 — ბებიკო, რატო არ გამაღვიძე, როცა შენ გაღვიძე? უსაყვედურა და დადგა მოშორებით.
 — იძინე, შვილო, დილ-დილას, რა გეჩქარება. წადი გენაცვალოს ბებიაშენი, არ გაცივდეს, ჩემო სიხარულო.

— ბებილო! ყოველთვის ადრე გამაღვიძე თუ ჩამეძინოს. ბებიკო! ძროხა მოწველე?—ჭკითხა და შეჭყვა ფარეხის პატარა კარებში. როდამა ხბო და ძროხა დააცილა ერთმანეთს.

— უჰ, რა ლუტუნები გვყოლია, ბებიკო. აი ეს ქრელი ჩემ სახელზე იყოს. უჰ-უჰ... რა თეთრებია.—შესძახა კესომ. ნაგავზედ მიწოლილ დიდ მაშა ღორს თეთრი მსუქანი გოჭები ესეოდნენ. შეუბრალებლად სცემდნენ მუცელში პატარა ღინგებს და უჯიჯგინდნენ ძუძუებს. როდამა ჯოხით ძროხა კიშკრისკენ გაიგდო. თუმცა ზაფხული იყო, სისხამ დილაზე მაინც გრილოდა, ნამძინარევე კეოს შესცივდა, ერთი გააძაგაძაგა. ორ გზის შემოჰკრა კბილი კბილს, სახლში შეირბინა, სოველი ფეხი ფეხსაცმელში ჩაჰკრა. „კოფთაც“ წამოიკვა, სერგოსთან მიიბრინა, ნაზად აკოცა მძინარეს შუბლზე. საბანი გაუსწორა, წინ კარებში გახტა, სირბილით დაეწია დიდდას, წინ გაუსწრო, კიშკარი გაუღო და უშველა საქონლის გარეკვა. ამ დროს ნახირიც ჩამოატარეს სოფლის მწყემსებმა, როდამაც იმათ შეუერთა თავის ძროხები. მწყემსებმა დაინახეს კესო; ზოგს გაელიმა, ზოგს გაკვირვება დაეჭყო. მოზრდილებს შერცხვათ, თავზე გადაფრიალებული თავსაფრები უფრო ჩამოიფარეს სახეზე, შიგნით ნახირში შეერივნენ და დაჭარეს კესოს თვალთაგან დაფრთხილ-დაფხრეწილი ძველი კაბები და მათი ტიტველი, მზისგან შემწვარი მაღალი კანკები. ჩავლილმა ნახირმა მტვერი დააყენა და ველარ დაინახა კესომ თავი ძველი ამხანაგები. კესო რაღაც ჩააფიქრა, გააყრუა ერთს წუთს: თავადაც ხომ გაჰყოლია ამ ნახირს, მთელი დღე მინდვრად უთაძაზნია, ჩიტის ბუდეები ჩამოუშლია თვალ-ხუკულა, ქორრო ბუდა. რა თამაში არ გაუმართავთ მინდვრად, გაშლილ ველზე დაჩრდილულ ხის ქვეშ სალამობით, მერე სხვებთან ერთად მხიარულად დაბრუნებულა სახლში.

აქ, ამ კიშკართან, რამდენჯერ წაუვლია კულში ხელი, დღეს რომ მოხუცდა იმ ძროხისთვის და ძუნძულით შემოუვლია ეზოში.

მაგრამ ეხლა სხვაა, სხვა დრო დადგა. ის ქალაქის მცხოვრებია, მოწაჟე. ამას აღარ შეუძლიან სხვებთან ერთად სდიოს ცხვრებსა და ხბოებს. ეხლა ამის საქმე წიგნები და მხოლოდ წიგნებია რიგიანი ამხანაგები. ვის გაიჩენს აქ ამხანაგად? რატომ, ყველას, ვინც ჰყოლია: მაგრამ იმათ რომ არ იციან ამის ოდენი, ვის რა უთხრას, ვის რა გაუზიაროს.

— „არა უშავს. მე მათ თავს მოუყრი, როგორც ჩვენმა მასწავლებელმა იცის ხოლმე. დავსხდებით ჩრდილში. შე წაუკითხავ რობინზონ კრუსეს, მამულის ერთგულს თავდადებულ ქართველს. თავადის ქალს. უთუოდ წაუკითხავ მათ თავადის ქალს. როგორ აღტაცებით დამიგდებენ ყურს. მართლა, ნადო და გრიშაც ხომ აქ არიან. ისინიც მოვლენ, დამეხმარებიან“.

აქ გასწყვიტა კესომ ფიქრი. ვილაც ცხენოსანი მოდიოდა შარაზე, კესომ შეხედა მგზავრს, ვერ იცნო. გამობრუნდა და წამოვიდა სახლში. დიდდას ცეცხლი გაეჩაღებია, რძე ქვამში ჩაესხა და კესოს საყვარელ საქმელს, რძის ფაფას, აკეთებდა. სერგოც ჩამოხტა ლოგინიდან. კესომ უშველა, ჩააცვა, პირი დაბანინა. სახლი დაგავა, დაასუფთავა იქაურობა. თავის ბოლჩას, ტანისამოსს, წიგნებს, ყველაფერს თავის ადგილი მიუჩინა. ამ ხანში დიდდამაც დაამზადა საუზმე. მერე წვირილი სარტყელი წელზე შემოიკრა, მივიდა კუთხეში და მოკლე ლოცვა წაიკითხა. დაბადი სუფრა დაშალა, მოუსხდნენ ვარს და საუზმის ქამას გადაჩვეული როდამაც სიამოვნებით შეეჭვა ეხლა.

საუზმის შემდეგ შვილთან და რძალთან გაგზავნა ბავშვები. ბიძა-ბიძოლა სახარულით შეხვდნენ. ეფროსინე, კესოს ბიძოლა, იცვამდა და წირვანზე ემზადებოდა. ჩქარა

მოირთო, კესო და სერგო თან გაიყოლა და წავიდნენ. უკვე დამდგირიყო. ეფროსინე უკან კარიდან შევიდა ეკლესიაში, მისმა ქუსლ დაქვილილმა მძიმე ფეხსაცმელმა ხმაურობა გაიღო ეკლესიის ქვით დაფენილ იატაკზე:

კაკ-კუკ, კაკ-კუკ... წაკაკანდა, გაიარა საყდრის ნახევარი ნაწილი. მარჯვნივ გაიწია, თავის მორძლეებს გასცდა და ცოტა წინ დადგა. სამაგიეროდ კესო და სერგო ფეხაკრეფით მისდევდნენ უკან.

ბიძოლამ მოჰკიდა ხელი ბავშვებს და წინ წააყენა, საცა თავად-აზნაურების ცოლ-შვილი დგებოდნენ. თავადაც იმათ გვერდით უნდოდა დგომა, მაგრამ ცოტად ერიდებოდა გულ-ზვიად კნენებს. უკან დადგომაც არ უნდოდა, ერთიერებოდა გლებ-კაცობის ადგილი თავადიშვილის ოჯახში გაზრდილს და აზნაურების ნათლიდელას. შუაში იყო გაჩხერილი, სასოებით იწერდა პირჯვარს და ხშირად დაჰყურებდა თავის ფირუზის თვლებიან სქელ ბექედს, რომლებსაც მხოლოდ კვირაობით იკეთებდა.

კნენა რებეკა პირველ ადგილს იდგა, როგორც სოფლის თავი, პატივ-საცემი პირი. მერე მოყოლებით სხვა მორძლეები, თუ ახალ-გაზრდა ქალები, ეფროსინემ ყველას მისცა მორიდებული, ჩუმი სალაპა. თავ-მომწონედ დააწყო კესოს მხრებზე ხელები, დაინახა და რაღაც უთხრა. კესო ნელა წავიდა, სერგოც წაიყვანა, სანთელი იყიდა; თვითონ ღვთისმშობელს დაუნთო და სერგომ მაცხოვრის ხატს. გამობრუნდნენ, საწიგნესთან სხვა ბავშვებიც იდგნენ.

— სერგო! შენ აქ დადექი.—უთხრა ჩუმად ძმას.

ვილაც ბავშვებში დაბრლიმა წამოიწია, წელში გაიმართა და მსწრაფლად მოავლო ავალი იქაურობას; საწიგნეზე მიყრდნობილმა გრიშამ იცნო კესოს ხმა, წამომართა და თვალით დაუწყო ძებნა. კესომაც დაინახა, გულმა როგორღაც რეწკა გაუღო. წამოწითლდა, ოდნავ გაუღიმა და თავის ადგილზე წავიდა. თვალები ისე აუჭრელდა, ყურებმა ბზუილი დაუწყეს, ვერ შეამჩნია როგორ ჩაუარა გვერდით ამაყ კნიაგნა ნადოს.

წირვის შემდეგ ერთს ხანს ხალხი იდგა გალავანში, ლაპარაკობდა, იცინოდა, მუსაიფობდა.

— ნათლი-დედა, ეს ბავშვები ვისი არიან?—გამოელაპარაკა ეფროსინეს რებეკა. ეფროსინემ უკან მოიხედა, ბოდიში მოიხადა, რომ გლახად იდგა. კნენამ ხელი ჩამოართვა და ეფროსინემ ხელზე აკოცა მოწიწებით.

— ეს ბატონო, საწყალი ჩემი მულის შვილი გახლავს. პატარა კესო რომ გყავდა, თუ გახსოვთ.

კნენა დააკვირდა.

— ჰოოო... საწყალი ჩვენი ანაიის შვილი?... მახსოვს, რავა არა, იგი ხო ჩვენი ოჯახის ნათლული იყო. საწყალს, რა კაი შვილი დარჩენია.—სწავლოფ შვილო?—შეეკითხა.

— დიახ, ბატონო, ეპარხილურში.—მიუგო კესომ ზრდილობიანად და ღიმილით შეხედა ნადიას.

— ჩვენ ერთად მოველით, მამაშა, გუშინ,—სთქვა ნადომ.

— რომელში ხარ, შვილო?—განუმეორა კითხვა.

— მეოთხეში გადავედი, ბატონო.

კნენამ გაკვირვებით შეჰხედა თავის შვილებს, თითქოს მისი თვალები ამოზდნენ: ასე პატარე მეოთხეში და თქვენ ნეტა რას აკეთებდითო“. ნადო მიხედა დედის აზრს.

(შემდეგი იქნება)

მ. გარიყული.

